ქეთევან ბოლქვაძის პასუხი

თვითრეგულირების კომისიამ არ დააკმაყოფილა ბ-ნო გია ქარცივაძის საჩივარი. მინდა განმარტება გავაკეთო თქვენთვისაც, რომ ჩემი მიზანი იყო თანაბრად წარმომეჩინა მხარეები, დაცული ყოფილი ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ 18 საათიანი მთავარი გამოშვების დაწყებამდე დარჩენილი იყო 20 წუთი დავურეკე ბრალდების ადრესატს და ვთხოვე ბრალდების საპასუხო კომენტარის გაკეთება. გია ქარცივაძემ მითხრა, რომ 18 საათამდე ვერ მოასწრებდა ჩაწერას და (მოგვიანებით გააკეთებდა კომენტარს) სჯობდა მენახა ბორდის სხდომის მასალა, რომელიც 2 საათიანია. ჩემი დაჟინებული თხოვნით, რომ მასალას უპასუხოდ ვერ გავუშვებდი(მაქვს საუბრის აუდიო ჩანაწერი) და არც დრო მქონდა მომეძებნა ჩანაწერი, დავითანხმე ინტერვიუზე და ვთხოვე კონკრეტულად მოწოდებულ ვიდეო მასალაზე ეპასუხა.

შესაბამისად ნიუსში მხარეთა პოზიცია უცვლელად არის დაფიქსირებული.არის ბრალდება მაუწყებლის მხრიდან და არის საპასუხო კომენტარი. უარვყოფ ბ-ნი გია ქარცივაძის ბრალდებას თოთქოს დავარღვიე ჟურნალისტური ეთიკის რომელიმე პრინციპი.